



ქვეყნის

1921
საგზაბათი
5
თემატიკური
№15 (10408)
ფასი 5 კაპ.

ქვეყნის საკანონმდებლო ცენტრი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 1 მარტიდან

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს
დემოკრატიული
რესპუბლიკის
საკანონმდებლო
ცენტრი

საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების სისტემის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აცხადებს:

1. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებანი:

1. მე-2 მუხლში სიტყვების „სახალხო დეპუტატთა საბჭოების“ შეიცვალოს სიტყვებით „სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების — საკრებულოებისა და უზენაესი საბჭოების“.

2. მე-6 მუხლში:
სიტყვა „საქართველოს“ შემდეგ დამატდეს სიტყვა „რესპუბლიკის“;

სიტყვები „სახალხო დეპუტატთა საბჭოებში“ შეიცვალოს სიტყვებით „სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში“.

3. მე-7 მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „დაუშვებელია ისეთი პარტიების, ორგანიზაციებისა და მოძრაობების შექმნა და საქმიანობა, რომელთა მიზანია რესპუბლიკის კონსტიტუციური წყობილების ძალადურა შეცვლა, რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, მისი უშიშროებისათვის ძირის გამოთხრა, გროვული და რელიგიური მუდლის გაღვივება“.

4. მე-7 მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვა „საბჭოთა“, მე-9 მუხლიდან — სიტყვა „სოციალისტური“ და მე-10 მუხლის მეორე ნაწილიდან — სიტყვა „სახელმწიფო“.

5. მე-10 მუხლში:
მე-2 ნაწილში სიტყვები „სახალხო დეპუტატთა საბჭოების“ შეიცვალოს სიტყვებით „სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების“;

მუხლს დამატდეს შემდეგი შინაარსის მე-3 და მე-4 ნაწილები:
„საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში დეპუტატთა არჩევის უფლება აქვს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეს, რომელიც მუდმივად ცხოვრობს შესაბამის ორგანოს ტერიტორიაზე.“
საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეს უფლება აქვს არჩეულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად“.

6. მე-8 თავის სათაურიდან და მე-9 მუხლის პირველი ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „საბჭოთა სოციალისტური“.

7. მე-4 კარის დასათაურებაში სიტყვები „სახალხო დეპუტატთა საბჭოების“ შეიცვალოს სიტყვებით „სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების“, ხოლო მე-10 თავის სათაურში სიტყვები „სახალხო დეპუტატთა საბჭოების“ — სიტყვებით „სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების“.

8. მე-10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:
„საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, ავსაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოები, რაიონის, ქალაქის, ქალაქის რაიონის, თემის, დაბისა და სოფლის საკრებულოები შეადგენენ სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების სისტემას“.

9. მე-10 მუხლში:
პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:
„საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, ავსაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოების უფლებამოსილების ვადა 5 წელია, ხოლო საკრებულოებისა — 3 წელი“;

მე-2 და მე-3 ნაწილებში სიტყვები „ადგილობრივ საბჭოებში სახალხო დეპუტატთა“ შეიცვალოს სიტყვებით „საკრებულოებში დეპუტატთა“.

10. მე-7 მუხლში:
პირველი და მე-2 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:
„რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის უმნიშვნელოვანესი საკითხები წყდება შესაბამისად უზენაესი საბჭოებისა და საკრებულოების სესიებზე.“
უზენაესი საბჭოები ირჩევენ უზენაესი საბჭოების თავმჯდომარეებს, ხოლო საკრებულოები — თავმჯდომარეებს. უზენაესი საბჭოების აქვთ თავიანთი პრეზიდიუმები“;

მე-3 ნაწილში სიტყვები „სახალხო დეპუტატთა საბჭოების“ შეიცვალოს სიტყვებით „უზენაესი საბჭოების“;

მე-4 ნაწილში სიტყვები „სახალხო დეპუტატთა საბჭოების“ შეიცვალოს სიტყვებით „სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების“.

11. მე-8 მუხლში სიტყვები „სახალხო დეპუტატთა საბჭოების“ შეიცვალოს სიტყვებით „სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების“.

12. მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:
„სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები უშუალოდ და მათ მიერ შექმნილი ორგანოების მეშვეობით ხელმძღვანელობენ თავიანთ ტერიტორიაზე სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ყველა სფეროს, იღებენ გადაწყვეტილებებს, უზრუნველყოფენ მათ შესრულებას, კონტროლს უწევენ ამ გადაწყვეტილებათა განხორციელებას“.

13. მე-10 მუხლში სიტყვები „სახალხო დეპუტატთა საბჭოების“, „სახალხო დეპუტატთა საბჭოების“ შეიცვალოს სიტყვებით „სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების“, „სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების“, ხოლო სიტყვა „კოლექტიური“ — სიტყვით „კოლექტიური“.

14. მე-10, მე-11, მე-12, მე-13, მე-14, მე-15, მე-16, მე-17 მუხლებიდან და მე-12 თავის სათაურიდან ამოღებულ იქნეს სიტყვა „სახალხო“.

15. მე-12 მუხლში:
მე-2 ნაწილში სიტყვები „საქართველოს რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოების“ შეიცვალოს სიტყვით „საკრებულოების“.

მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:
„საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე არ შეიძლება ერთდროულად იყოს სახელმწიფო ხელისუფლების ორზე მეტი ორგანოს წევრი“;

მე-4 ნაწილში სიტყვები „ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების შემადგენლობაში, ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების უწყებთა“ შეიცვალოს სიტყვებით „საკრებულოების აღმასრულებელი ორგანოების შემადგენლობაში, გარდა გამგეობის თავმჯდომარისა (გამგებლისა), პრეფექტურის უწყებთა“; სიტყვებს „გენერალური პროკურორი“ შემდეგ დამატდეს სიტყვები „მისი მოადგილეები“; სიტყვები „სახალხო დეპუტატთა საბჭოების“ შეიცვალოს სიტყვებით „სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების“.

16. მე-13 მუხლში:
პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:
„დეპუტატები ხალხის სრულუფლებიანი წარმომადგენლები არიან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში“;

მე-2 ნაწილში სიტყვები „სახალხო დეპუტატთა“ შეიცვალოს სიტყვებით „სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების“ და „ამ ორგანოების“.

17. მე-100 და მე-101-ე მუხლებში სიტყვები „ადგილობრივი საბჭოს“ და „სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს“ შეიცვალოს სიტყვით „საკრებულოს“.

18. მე-103-ე მუხლში სიტყვები „სახალხო დეპუტატთა საბჭოს“ და „საბჭოს“ შეიცვალოს სიტყვებით „სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს“.

19. მე-104-ე მუხლში:
მე-14 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:
„შეწვევებს საკრებულოების უფლებამოსილებას“;

მე-15 პუნქტში სიტყვები „სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების“ შეიცვალოს სიტყვებით „რაიონის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის საკრებულოების“;

მე-16 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:
„ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნებს და ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობას, ნიშნავს საკრებულოებში დეპუტატთა არჩევნებს“.

20. მე-111-ე მუხლსა და მე-119-ე მუხლის მე-2 პუნქტში სიტყვები „სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების“ შეიცვალოს სიტყვებით „რაიონის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების საკრებულოების“.

21. მე-113-ე მუხლში:
მე-4 პუნქტში სიტყვა „დეპუტატებს“ შეიცვალოს სიტყვით „წევრებს“;

მე-5 პუნქტში სიტყვები „ადგილობრივი საბჭოების“ შეიცვალოს სიტყვით „საკრებულოების“;

მუხლს დამატდეს შემდეგი პუნქტები:
„19) საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს პრეფექტს;
20) აუქმებს პრეფექტის განკარგულებასა და ბრძანებებს“.

22. მე-115-ე მუხლის მე-3 პუნქტს დამატდეს სიტყვები „ხოლო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს — პრეფექტის თანამდებობაზე დასანიშნად“.

23. მე-115-ე მუხლში:
ა) მე-3 ნაწილში სიტყვების „სესიებს შუა“ შემდეგ დამატდეს სიტყვები „და სესიის სხდომებს შუა“;

ბ) ამვე ნაწილს დამატდეს სიტყვები „გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც უზენაესი საბჭოს წევრი დაკავებულ იქნა დანაშაულის ჩადენის ადგილზე“.

24. მე-128-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:
„საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს აქვს უფლება თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეაჩეროს ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილებებისა და განკარგულებების, აგრეთვე პრეფექტების განკარგულებებისა და ბრძანებების შესრულება“.

25. მე-135-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:
„ავსაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უფლება აქვთ შეაჩერონ პრეფექტების განკარგულებები და ბრძანებები“.

26. მე-17 თავი დასათაურდეს შემდეგნაირად: „სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები“.

27. მე-188-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:
„საკრებულოები წყდებენ ადგილობრივი მნიშვნელობის ყველა საკითხს საერთო-სახელმწიფო ინტერესებისა და (დისკუსული მე-2 გვერდზე)

ნებაში უვილთა მრავალთა..

ჭერ ისევ უმწველია თავისზე გაცილებით პატარა გოგოს ხე-ლი მოკიდა და სახლში მიიყვანა. არც ცხენი და ჩექმა უთხოვია ვინმესთვის. ნაშუსის ქული კი ესურა და სხვარას დაგადევდათ სოფელში ბიჭი.

ნაპო მოსიას შორს არ უშეძენია საცოლზე, იქვე მეზობლად მცხოვრები ცქრიალა გოგო აირჩია.

ციალა ფანცულაია, თხუთმეტი წლისა, აკვანს მიუჭდა. ეგონათ, ეს დედისერთა ქალი მეტ შვილს არ გააჩენდა, მაგრამ... მოტყუვდნენ. თამილას მთვარისა მოჰყვა, მთვარისას ჭემალი, ბონდო, ბორისი, სოსო, რამინი, პატა.

რვა შვილს — თექვსმეტი შვილიშვილი. კი გაუჭირდა ადრე დაქვრივებულ ქალს, მაგრამ იყოჩაღა, დღე და ღამე გააწვორა და ობლობა არ აგრძობინა უმამოდ დარჩენილ ბავშვებს.

— მთელი ოჯახი საწყალ ქალს დააწვა მხრებზე. შემდგომ დედამისი გადმოვიდა საცხოვრებლად მასთან, კაცოვით ამოუდგა გვერდში. ჩვენც ვეზმარებოდით. ერთ სისხლში სახლი ვუყუდე. ბავშვებიც წამოიზარდნენ და... მუშაობა დაიწყეს — მიყვება ციალას მავალი კაკო მონია.

ბიჭები ცალ-ცალკე დასახლდნენ თავიანთ სოფელში. ქალიშვილებიც აქ არიან გათხოვილები. უმცროსი პატა მამისეულ სახლში დატოვებს. სწორედ ამ ოჯახში შეგვხვდით ჭემალს, ბორისს, პატას და მათ ცოლ-

შვილს. ქალბატონი ციალა სახლში არ დაგვხვდა, შვილთან ერთად წასულიყო სამკურნალოდ.

— დედა ძალიან თბილი ქალია — სურათს მაჩვენებს რძალი

მშვიდობა ამ სახლს

რუსიკო. ბებია ღრი თვეა გარდაიცვალა. გავვიჭირდა მის სიკვდილთან შეგუება. ცხოვრებით სწავლად ვცხოვრობთ.

უფროსი ბიჭი ჭემალი ოცდათექვსმეტი წლისაა. ოჯახის ნამდვილი ბურჯია. ახალ წელსაც ყოველთვის მის სახლში ხვდებიან ხოლმე. ბორისმა ქუთაისის კოლონიაში ტექნიკური დაამთავრა. ახლა ისიც კახთშია. — ჩვენი ოჯახის წევრები ყველანი კახათის კოლმეურნეობაში ვმუშაობთ. დედამ თავისი ახალგაზრდობა ჩაის კრფას შეაღია. მართალია, ანაზღაურებამ ადრინდელთან შედარებით მოიმატა, მაგრამ მაინც გვიჭირს. აი, კერძო საკუთრება თუ წარმატებით განხორციელდება, მაშინ ალბათ გვეშველება. შრომას რომ ფასი დაეძება, გლენიც უკეთ იმუშავებს. რაც შეეხება, კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ჯოჯო გუგუჩიას, ყურადღებას არ გვაკლებს. უმადურები ვერ ვიქნებით. პირიქით, მადლობელი ვართ მისი.

— შედგავთბი თუ გაქვთ: რო-

გორც სრავალშვილიან ოჯახს? — არავინ არ შეგვიწუხებია. — არ შეგვიწუხებია. ბუნებრივად მორიდებულნი ჩანან ჩემი მახსინძლები. ძვირიც კი არავისზე დასცდნიათ. კარგი ახალგაზრდობა იზრდება — ამ-

ბობენ. განათლება უყვთესი აქვთ, მეტი იციან, უფრო თამაშები და ძლიერი სულიანნი არიან. თუმცა წარმაცოც ბეარია, ეს ოჯახზეა დამოკიდებული, როგორ აღზრდის შვილს.

— კარგია, როცა დიდი საქმე კეთდება. საქართველოს ახლა გამარჯვება და გაძლიერება სჭირდება. ვინ უნდა გააკეთოს ეს? — საუბარში ჩაერთო უფროსი რძალი — რუსუდანი.

მართლაც, ვინ უნდა გააკეთოს ეს, თუ არა ქართველმა ქალმა, ვისაც ოდნავ მაინც შესტივია გული საშობლობათვის. ახლა ჩვენი ხსნა ჩვენს ფიზიკურ გადარჩენაშია. — ნეტავი იმ ერს, რომელსაც კარგი ქალები ჰყავს! — იტყოდა დიდი აკაკი მალე ყველას ეთქვა: „დიდება გართველ ერს, რომელსაც გმირი დედები ჰყავს!“ — ერთი და ორი კი არა, მრავალი და მრავალი. მშვიდობა ამ სახლს, რომელმაც რვა ოჯახი შეგმატა საქართველოს!

ბ. დუდაური.

ახალი ლექსები „ცალი ქუჩა“

ტიტო მოსია ჩვენი რაიონის მკვიდრია. მისი ლექსები (მოწაფეობის პერიოდს მოკიდებული) ხშირად იბეჭდებოდა გაზეთ „მებრძოლში“. ამჟამად იგი აფხაზეთში მოღვაწეობს. ტ. მოსია თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ძველი ქართული ლიტერატურისა და ფოლკლორისტიკის კათედრის გამგეა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სახალხო წიგნიდან — „მახარია“.

შოუ, ნანა

ხატკეთილი მახარია, შენი დარი ქვეყნად თუა. ანგელოსნი დაგზარაინ, შოუ ნანა, შოუ სქუა. შენი ბედის ვარსკვლავი კი ცის ლაუვარდმა გაიტყუა. მზე და მთვარი მხრებზე გადგას, შოუ, ნანა, შოუ, სქუა. ამო არის სილამაზე, ახსიგონებს თუკი ჭკუა. სულ სულიდან გაიხდეთ, შოუ, ნანა, შოუ, სქუა. იცი, ალბათ, ლურჯმა იამ პეპელა ვით გააბრუა. დააკვირდი ამ სიმაართლეს შოუ, ნანა, შოუ, სქუა.

ნით სამუშაოდან განთავისუფლებების შემთხვევაში უნარჩუნდებოთ უწყვეტი სტაჟი, თუ ისი-

პარალელური

ვშლი ეკლესიას, სადაც მუდამ სანთელი ეწოთ და ნანგრევები მემხოზა თავზე, მიშველი, ღმერთო.

ლექსის გამატი

თუკი ააგე ლექსის ტაძარი — დამშვენებული ფრესკით, ხატებით... ანგელოსივით ცის მიმბაძავი სულით მის ლაუვარდს მივმატები. სხვას რას ინატრებ, ერთი მითხარი, რა უნდა დარჩეს სხვა სახსოვარი, თუ იმ ტაძარში მოგკითხავენ ღვთისმშობელი და თვით მაცხოვარი.

დედათა და ბავშვთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის

რომლებსაც არ გაჩინათ 1 წლის მუშაობის სტაჟი და არამომუშავე დედებს ბავშვის წლინახევრის ასაკის შესრულებამდე მათი მოვლისათვის მიეცემათ სახელმწიფო დახმარება თვეში 35 მანეთის ოდენობით.

გადიდებულია სახელმწიფო დახმარებები მეურვეობის ქვეშ მყოფი ბავშვებისათვის თვეში 30 მანეთიდან 70 მანეთამდე, სამხედრო მოსამსახურეთა მეუღლეებსათვის თითოეულ ბავშვზე თვეში 35 მანეთიდან 70 მანეთამდე.

უნდა აღინიშნოს, რომ დადგენილებით დაწესდა სახელმწიფო დახმარების მინიმალური ოდენობები და მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო, რაიონული, საქალაქო საბჭოებს ნება დაერთოთ ნაკლებად უზრუნველყოფილ ბავშვთან ოჯახებს, მრავალშვილიან და ახალგაზრდა ოჯახებს, ოჯახებს, რომლებიც ზრდიან ინვალიდ ბავშვებს, მშობლების მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ბავშვებს დაუწესონ დანამატები სახელმწიფო დახმარებებზე. ამასთან შრომით კოლექტივებს ნება დაერთოთ დაწესონ განსაზღვრული დანამატები თავიანთი მუშაკებისათვის.

უკანასკნელ პერიოდში მიღებულ იქნა მრავალი საკანონმდ-

ებლო ნორმატიული აქტი, რომლითაც საგრძნობლად უმჯობესდება ბავშვიან ოჯახთა მდგომარეობა.

მშობლებისათვის მცირეწლოვან ბავშვთა აღზრდის ნორმატიული პირობების შესაქმნელად დაწესებულია, რომ ნაწილობრივ ანაზღაურებული შვილებს ბავშვის წლინახევრის ასაკის შესრულებამდე და უბელფასო შვილებს ბავშვის სამი წლის ასაკის შესრულებამდე მიეცემა როგორც ბავშვის დედას, ასევე ოჯახის სურვილით: მამას, ბებიას, ბაბუას ან ნათესავს, რომელიც ფაქტიურად უვლის მას. ნაწილობრივ ანაზღაურებულ შვილებს აქვს იმუშაოს არასრული სა-მუშაო დრო, ამასთან მუშაობის პერიოდში სახელმწიფო დახმარებაც აუნაზღაურდება.

დაუშვებელია ორსული ქალების და სამ წლამდე ასაკის დედების სამუშაოდან განთავისუფლება ადმინისტრაციის ინიციატივით, საწარმოს სრული ლიკვიდაციის შემთხვევის გარდა, ამ შემთხვევაში კი გათვალისწინებულია ასეთი დედების აუცილებელი შრომითი მოწყობა, სამუშაოზე მოწვევამდე პერიოდში საშუალო ხელფასის შენარჩუნებით.

14 წლის ასაკამდე ბავშვების დედებს ბავშვის მოვლის მიზ-

ნი სამუშაოზე მოწვეობიან ბავშვის 14 წლის ასაკის შესრულებამდე

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1990 წლის 2 აგვისტოს მიიღო დადგენილება „რეგულირებად საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით ბავშვიან ოჯახების სოციალური დაცულობის დამატებით ღონისძიებათა შესახებ“. დადგენილებით, რომელიც ძალაში შევიდა 1990 წლის 1 დეკემბრიდან ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებით გაიცემა ერთდროული ფულადი დახმარება 210 მანეთის ოდენობით, ამასთან წლინახევრიდან ექვს წლამდე ასაკის ბავშვებზე დაწესებულია ყოველთვიური სახელმწიფო დახმარება 35 მანეთის ოდენობით თითოეულ ბავშვზე, თუ ოჯახის საერთო შემოსავალი ერთ წევრზე გაანგარიშებით არ აღემატება 140 მანეთს. აღნიშნულ დახმარებას ბავშვიან ოჯახები მიიღებენ ბავშვების დედის ან მამის სამუშაო ადგილიდან. თუ ისინი არ მუშაობენ, დახმარების მისაღებად უნდა მიმართონ სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. უნდა აღინიშნოს, რომ ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახებისათვის დღემდე მოქმედი კანონით დაწესებული ყოველი-

ვიური დახმარება 12 მანეთის ოდენობით თითოეულ ბავშვზე შენარჩუნებულ იქნა, გ. ი. ოჯახს უფლება აქვს მიიღოს ორივე სახის დახმარება ერთდროულად.

გასული წლის 1 დეკემბრიდან გაუდიდდათ სახელმწიფო დახმარება მართკენელა დედებს თვეში 35 მანეთამდე. ინვალიდი ბავშვების დედებისათვის „სსრ კავშირის მოქალაქეთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის ძალაში 1991 წლის 1 იანვრიდან მთლიანად შესვლასთან დაკავშირებით დაწესებულია საპენსიო უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი შედგავთბი, კერძოდ, დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს 8 წლის ასაკამდე ინვალიდი შვილები, პენსია ენიშნებათ 60 წლის ასაკში, ამასთან ინვალიდი ბავშვების მოვლის პერიოდი ჩათვლებათ შრომით სტაჟში. ინვალიდი ბავშვების დედებს 1991 წლის 1 იანვრამდე დანიშნული პენსია გაუდიდდებათ ახალი კანონის ნორმების გათვალისწინებით. იმასთან დაკავშირებით, რომ სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებისათვის ამ კატეგორიის პირთა სრული გამოვლენა მნიშვნელოვან სიძნელეებთანაა დაკავშირებული, ბავშვობიდან ინვალიდების დედებს ვთხოვთ, გამოცხადდნენ სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებაში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. თ. ჯაფარიძე, ზუგდიდის რაისოკუთრუნველყოფის განყოფილების გამგე.

ნაკლებად უზრუნველყოფილი ბავშვიანი ოჯახების, დედებისა და ბავშვთა სოციალური დაცულობის გაუმჯობესების, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით მათ წინაშე მდგარი მწვავე პრობლემების ნაწილობრივ გადაწყვეტის მიზნით სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ 1990 წლის 10 აპრილს მიიღო დადგენილება „ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების, დედათა და ბავშვთა დაცვის, ოჯახების განმტკიცების გადამდებელ ღონისძიებათა შესახებ“.

ბავშვიანი ოჯახების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ძირითადად შეიცვალა ბავშვებზე სახელმწიფო დახმარების გაცემის პირობები, 1991 წლის 1 იანვრიდან გაუდიდდათ სახელმწიფო დახმარება. მომუშავე დედებს ბავშვის წლინახევრის შესრულებამდე მათი მოვლისათვის 35 მანეთიდან 70 მანეთამდე, ტყულების შეძენის დროს სახელმწიფო დახმარება 70 მანეთის ოდენობით გაიცემა თითოეულ ბავშვზე. დახმარება მიეცემათ მომუშავე დედებს, მათ შორის კოლმეურნი ქალებსაც, იმ პირობით, თუ მათ გააჩნიათ არანაკლებ 1 წლის მუშაობის სტაჟი. გამონაკლისი დაუწესდათ 18 წლამდე ასაკის მომუშავე და მოსწავლე დედებს, რომლებსაც სახელმწიფო დახმარება ენიშნებათ მიუხედავად სტაჟის ხანგრძლივობისა.

დადგენილებით გათვალისწინებულია, რომ მომუშავე დედებს,

შინაგან საქმეთა საქალაქო-რაიონული განყოფილება

მცხოვრები პაატა რევაზის ძე მამფორია.

მამფორია წლის 25 იანვრიდან 31 იანვრამდე შინაგან საქმეთა საქალაქო-რაიონული განყოფილების მუშაკების მიერ გამოვლინებულ იქნა ვაკრობის წესების დარღვევის 10 ფაქტი. საეკულაციოში სწავლებულ იქნა ერთი პირი. დახმარების მიწვევისა და სტუმრების პირობების დადგენის მიზნით მიმდინარეობს მოკვლევა.

ცივი იარაღის ტარებისათვის დაკავებულ იქნა სოფელ კორცხელის მცხოვრები 1969 წელს დაბადებული იგორ ვიჩხლაგის ძე დემენტევი.

27 იანვარს დაკავებულ იქნა ტურგენევის №11-ში მცხოვრები, ინდივიდუალური შრომით დაკავებული, ცოლშვილიანი, 1958 წელს დაბადებული ჯემალი ტარასის ძე სამუშია, რომელმაც 25 იანვარს არაფინურ შდგომარეობაში მყოფმა სრულიად უმიწეოდ დანიტ სასიკვდილოდ დაჭრა მოქალაქე გოგია.

მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობისათვის დაკავებულ იქნა 1973 წელს დაბადებული, მკონდიდელის №85-ში მცხოვრები ვეფხია მარდოსის ძე ურაშვილი.

მიმდინარე წლის 30 იანვარს გარდაცვლილის ახლო ნათესავებმა შურისძიების მიზნით გაანადგურეს დამნაშავეს სახლი. მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება.

ციცხლსასროლი იარაღის ტარებისათვის დაკავებულ იქნა №7 საშუალო სკოლის მოსწავლე იაგო აღმესანდრეს ძე კუტალია ქალაქ ზუგდიდში დეკაბრისტების ქუჩა №27-ში მცხოვრები.

მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობისათვის დაკავებულ იქნა 1971 წელს დაბადებული, ადრე ანალოგიური დანაშაულისათვის სსსპარტულევი სოფელ კახათში მცხოვრები ვმწარ მისხელის ძე კაკულია.

ციცხლსასროლი იარაღის შენახვა-ტარების ფაქტზე დაკავებულ იქნა 1977 წელს დაბადებული, №62 პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე ქალაქ ზუგდიდში ბუკიას ქუჩა №2-ში მცხოვრები მერაბ თამაზის ძე ნადარეიშვილი.

ნარკოტიკულ ნივთიერებათა შექმნა-შენახვისათვის დაკავებულ იქნა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში ნამყოფი, 1962 წელს დაბადებული ქალაქ ზუგდიდში დუტუ მგერგლის ქუჩა №18-ში

ავტომანქანის გატაცებისათვის დაკავებულ იქნა შენგელის ქუჩა №62-ში მცხოვრები, უმუშევარი, 1972 წელს დაბადებული რამინ ჯუმბერიძის ძე კვიციანი.

სახელმწიფო ქონების ქურდობისათვის დაკავებულ იქნა №11 საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეები რევაზ ზაურის ძე მოხია და სოსო იგორის ძე გამახაურაძე.

საქართველოს ეკლესიის კალენდარი

განმარტობა საქართველოს ეკლესიის კალენდარი—1991, რომელიც დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარების ილია მეორის ლოცვა-კურთხევით. კალენდარში გამოკვეთებულია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარების ილია მეორის სიტყვა წარმოთქმული

სიონის ტაძარში 1990 წლის 12 მარტს, მკითხველი გაცნობა აგრეთვე ძირითად კალენდარულ მარტოებებს, საეკლესიო-სამხსოვრო დღეებს, დიდ დღესასწაულებს, გარდაამავალ დღესასწაულებს, მარტვის დღეებს, მიცვალებულთა მოსახსენიებელ დღეებს, საქართველოს ეკლესიის ეპარქიათა მღვდელმთავრებს, საპატრიარქოს განყოფილებებს, ავტოკეფალურ მართლ-

მადიდებელ ეკლესიებსა და მათ მეთაურებს, ავტონომიურ მართლმადიდებელ ეკლესიებსა და მათ მეთაურებს, ტაძარსა და მის შემადგენლობას, სათვგო კალენდარს, მოთხრობებს, მამათა ცხოვრებებიდან. სწავლებანი გამოსაცემად მოამზადა მარიამ ნიაურმა, გამოცემლობის თავმჯდომარეა ეპისკოპოსი ზოსიმე (შიოშვილი), კალენდრის რედაქტორია დეკანოზი დავით შიოლაშვილი, პასუხისმგებელი მდივანი ირმა წულესიკოვი.

მეუღლე დალი, დედა ენია, მამა ვარლამი, შვილები: მანუჩარი, ონისე, თამარია. ძმები: ბიკიო, ლადო, და კლარა, სიდედრი დუნია, ცოლისძმები: ხანტუ, ჯემალი, ტურტუ, მოგელი, ვახტანგი ფიფიები, ცოლისძმები ფაცია, ნანი, რძლები: მარინა, ემა შობაძეები. სიძეები ბოჩია ბალათურია, ფრიდონ ქანთარია, ვენდიკო საჯაია, მურმანი დარსალი, მამიდები: ბუცუკი, ლუსია, ვალენტინა, დედა ნორა შელია, ბიძაშვილი გენო კიტია, მამიდაშვილები: ბორისი, გენო, ზოია ყუფუნები, გლადიმერ, თინკო ანთიები, კლარა, დინარა ალანები, დედაშვილები იუწყებიან

შვილები: ლია, თამაზი ჩხარტი-შვილები, და კლარა, ძმები მამია, ბოჩო მეუწარგები, რძლები: გული ჩხეტი, მთვარისა გოგუა. სიძეები გივი ხოქოლაძე, აბესალომ ჯოჯუა, დისშვილები: ნოდარ ჩხორაია, კოტე, ნანა, გია ჯოჯუები, ძმისშვილები: ილია, ოთარი, ბაჯა მეუწარგები, შვილიშვილები, შვილთაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

დედა პაპა, შვილი თანდლი შანავა, რძალი ლამარა, შვილი-შვილები: ლექსო, გიგა, დედე-ბი: მარგო, მოლია შონიბი, დედაშვილი გელა შანავა, ბიცოლა ქუჭუ. ბიძაშვილები: გენო, ნათიკო ჯალაღონები, სიძეები: გვიგვი შანავა, ვალერია გიგელი. მამიდაშვილები: ლი-სო შელია, ხუტა, ბონდო, შურია. ტოლოკო ქარაგები, ახლო ნათესავები იუწყებიან

თამაზი (ტოტია) ვარლამის ძე შობაძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 5, 6, 7, 8 თებერვალს. დაკრძალვა 9 თებერვალს სოფელ ნაცატ-უში.

ელენე (ძაბული) ილიას ასულ მეუწარგის გარდაცვალებას. დაკრძალვა 7 თებერვალს. გამოსვენება ქ. თბილისი, პავლოვის ქ. 29-2-დან.

გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9 თებერვალს. დაკრძალვა 10 თებერვალს სოფ. ფახულანში (წალენჯიხის რაიონი).

მეუღლე მოკონა, შვილები: ნუნუ, დემურ, მელარი. რეზო თოდუბი, რძლები: ლიანა, ნონა. ლუბა. შვილიშვილები: ალფეზი, ასმათი. ნანა. დთა, ლანა, იტრა თოდუბი იუწყებიან

მეუღლე ჯულიეტა. შვილები: ვიტალი. ემილი. გია. რძლები: ზაირა კვარაცხელია, ლულა პაპა-სკირი, შვილიშვილები ბაჩუკა. ნუკრი, ბადიშვილები ჯულიეტა, სალომე, დისშვილები: ტატიანა, ნაზი. გივი ქანტურები, მამიდა-შვილები, დედაშვილები, ბიძა-შვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

მეუღლე გრიშა. შვილები მურმანი, ზურაბი, ნატო, და თალიკო. დედაშვილი პარაკევა, რძლები: მზისა, თამილა, ცაციკო, ვერა, ნუნუ. ნაზო. მული ვარდიშა, სიძეები ზაურ მურ-ლულია. შალვა გოგენია, დათუ-შა წურჭუმია, ბიძაშვილი ლი-და ლომია. მამლები: მიშა, ყო-რეი, კოჩია ზარანდიები. დისშ-ვილი რამინ გოგენია, შვილი-შვილები: ედუარდ, გია, გიული, პლატონი. თეა. სალომე, ნათია, მულიშვილები, მარლიშვილები, მამიდაშვილები, ახლო ნათესა-ვები იუწყებიან

მირიანე (ბოჩია) გრიგორის ძე თოფურია გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7, 8 თებერვალს. დაკრძალვა 9 თებერვალს ქ. ზუგდიდში, გამო-სვენება მიაიკოვსკის ქ. 6-დან 16 საათზე.

ნელი (ელენორა) პლატონის ასულ ივორია-ზარანდიას გარდაცვალებას. პანაშვიდი 5, 6 თებერვალს. დაკრძალვა 7 თებერვალს სოფ. ჯინაჭარში.

ზუგდიდის სახალხო დეპუტატთა საბჭოს ადმინისტრაცია გიწვევთ ტექნიკურ-რაიონული დათვალეობაზე

შეიქმნა სახალხო მეურნეობისა და ინდივიდუალურ მფლობელობაში არსებული ავტომოტორტრანსპორტის ტექნიკური დათვალეობის კომისია. მიმდინარე წლის 1 იანვრიდან ავტომოტორტრანსპორტის ინდივიდუალურმა მფლობელებმა სრულ წესრიგში უნდა მოიყვანონ მათი კუთვნილი ტრანსპორტი და დროულად წარმოადგინონ ტექნიკურ დათვალეობაზე გამოძახების გარეშე. ავტომეურნეობათა ხელმძღვანელებმა ადგილებზე შექმნან

მათზე რიცხული ტრანსპორტის ტექნიკური დათვალეობის ჩამტარებელი კომისიები არსებული წესების დაცვით და სახალხო ტრანსპორტის ქვეგანყოფილებაში შეთანხმებული გრაფიკით უზრუნველყონ მისი ხარისხიანი ჩატარება, ხოლო მცირერიცხოვანი ტრანსპორტის მფლობელებმა ორგანიზაციებმა მათზე რიცხული ტრანსპორტი წარმოადგინონ სახალხო ტრანსპორტის ქვეგანყოფილებაში მათთვის გათვალისწინებული გრაფიკის შესაბამისად.

მ. გ. თოფურია

ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენელთა რიგებს გამოაქვდა დეპუტატობის მუშაკი, ვეტერანი ჩეხისტი, არაერთი ჯილდოს კავალერი, სკკპ წევრი 1944 წლიდან, მილიციის ადამიტივნიკი მირიან (ბარბინი) ბრინაშვილი მ. თოფურია დაიბადა 1926 წელს აბაშაში. აბაშის საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ აბაშე რაიონში იყუბს შრომით საქმიანობას სახელმწიფო უშიშროების ხაზით. შემდეგ ქ. თბილისში აბაშე სისტემის სპეციალური სასწავლებლის კურსანტად ირიცხება. სათანადო კვალიფიკაციის მიღების შემდეგ კურსდამთავრდა ახალგაზრდას ოპერატორ-მუშაობაზე ამწეებზე. გაგრაში, მოგვიანებით გადის რაიონში, დაისრებული მოვალეობის პირნათლად შემსრულებელი შემდგომ წლებში შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ იწვევება სხვადასხვა პასუხისმგებლობაზე. წლების მანძილზე მას ვეხდავთ შინაგან საქმეთა ზუგდიდის რაიონული განყოფილების უფროსის მოადგილედ. 1962 წლიდან 1971 წლამდე სათავეში ედგა წალენჯიხის მილიციის რაიონული განყოფილების მ. თოფურია. 1971-1975 წლებში მ. თოფურია ქ. ზუგდიდის №8 საგანმომსიებლო იზოლატორის უფროსია.

სამოქალაქო მოდგაწეობის საშუალებას. მაგრამ ბუნებით გულგანსილი და უველასათვის კეთილმოსურნე კაცი არ ებუება. სენს და კარჩაკეტილ ცხოვრებას. ბევრ ჩვენთაგანს ახსოვს იგი სხვადასხვა საკრებულოების, საქმიანი, თუ მეგობრული შეხვედრების სახურველ სტუმრად. უვლგან შეგპონდა კეთილი ტონუსი, ოპტიმიზმის, ცხოვრებისადმი აქტიური დამოკიდებულების განცდა. იყო ახლგაზრდების კეთილი დამრიგებელი, გულმშეპრებულის გამახსენებელი, დინილიანი, უღალატო მეგობარი. იყო კიდეც ერთი ლამაზი შტრისი მის ბიოგრაფიაში. სასტენდო სროლაში საკავშირო სპორტის ოსტატის წოდება მქონდა მინიკებულო. ამასთან ნადირობის ტრფიანობა იყო. დაუვიწყარი მირიან თოფურია გასლდათ ნიშუში ორგანოს მუშაობის, ვისაც დღევანდელმა თაობამ დახვდა უნდა მიბაძოს პროფესიულ კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაში. დამნაშავეს დროულად მხილება, იზოლირება მას არ მიჩინდა პრობლემის გადაწყვეტად. იგი მილიციელის იმ ადღოს უფრო აფასებდა, როცა შესაძლებელი ხდება გზაბნეულს, თბილად იდაყვზე ხელი ამოდო და სწორი რჩევა-დარიგებით საზოგადოებას დაუბრუნო. მომხიბვლელი, უბრალოებითა და თავმდაბლობით შემკული მოქალაქის ნათელი სსოვნა დიდხანს დარჩება მისი ახლომდებლის, ნაცნობ-მეგობრების გულში.

რედაქტორი პა. ზანტური. ზუგდიდის რაიონის სახალხო განათლების მუშაკები იუწყებიან ორსანტის საშუალო სკოლის დირექტორის ამირან იასონის ძე გულიას გარდაცვალებას და თანაუგრძობენ განსვენებულის ოჯახს. ნაცატუს არასრული საშუალო სკოლის მერვე-მეტრე კლასის მოსწავლეები თანაუგრძობენ მანუჩარ და ონისე შობაძეებს მამის თამაზის გარდაცვალების გამო.

მ. გ. თოფურია 86507 რ. ლაშქრის მისამართი: ქ. ზუგდიდი მერაბ კოსტავას ქ. № 52 ტელეფონები: რედაქტორის 2-24 80, რედაქტორის მოადგილის 2-21 78 მშრომელთა წერილების 2-25 12, რადიორედაქციის 2-47 00

ბეჭდვის ხარჯების ზუგდიდის ხტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 52, ტელეფონი 2-28-07 ტირაჟი 8000 შტე. №219